



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 53
27/10/2017

53-04-4-201710271453



„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის #6 დადგენილებაში ცვლილება - დამატების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის N6 დადგენილებაში ცვლილება - დამატების შეტანის შესახებ“ დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 17 ნოემბერი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 24 ნოემბერი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილება - დამატების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ა.დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული);

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2017 წლის -- ნოემბერს დღის 18 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2017 წლის -- ნოემბერს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილება - დამატების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2017 წლის -- ნოემბერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №--
2017 წლის -- ოქტომბერი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის N6 დადგენილებაში ცვლილება - დამატების შეტანის შესახებ.

„საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის N 6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 11.05.2016 წ. სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.134.016193) განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილება - დამატება:

1. რეგლამენტის 117 მუხლში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება-დამატება:

ა) მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ინფორმაციას პეტიციის წარმდგენი სუბიექტის არანაკლებ ერთი და არა უმეტეს 3 მომხსენებლის/მომხსენებლების (შემდგომში - მომხსენებელი) შესახებ: სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში), ელექტრონული ფოსტის მისამართს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლ(ებ)ს.“

ბ) მე-5 პუნქტს დაემატოს „ზ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) დასახლების საერთო კრების (შემდგომში - საერთო კრება) მიერ შეტანილ პეტიციას უნდა დაერთოს საერთო კრების შესაბამისი ოქმი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მომხსენებლის (საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო კრების რჩეულის ან საერთო კრების მიერ უფლებამოსილი პირის) სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი (არსებობის შემთხვევაში).“

გ) მე-5 პუნქტს დაემატოს „თ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) პეტიციას შეიძლება თან ერთვოდეს დოკუმენტები და მასალები, რომლებიც პეტიციის წარმდგენ სუბიექტს პეტიციის დასასაბუთებლად მიაჩნია საჭიროდ.“

დ) მე-6 პუნქტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.“

ამომრჩევლების სიის თითოეული გვერდის ზედა ნაწილში უნდა იყოს მითითებული პეტიციის ტექსტის მოკლე შინაარსი, ხოლო ქვედა ნაწილში, ამომრჩეველთა მონაცემების ქვემოთ, ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, ხელმოწერა და შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია.“

ე) მე-8 პუნქტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. მომხსენებელი/მომხსენებლები პეტიციას, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, წარადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოში. პეტიციას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი. პეტიციისა და თანდართული დოკუმენტების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საკრებულოს აპარატი მომხსენებელს/მომხსენებლებს აძლევს ან/და ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნის პეტიციის რეგისტრაციის მოწმობას. რეგისტრაციაში უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მოთხოვნები ან/და გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას.“

ე) 23-ე პუნქტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„23. მუნიციპალიტეტის არაუმეტეს 3-კაციან ჯგუფს (3 ამომრჩეველს) უფლება აქვს, მიმართოს საკრებულოს აპარატს განცხადებით პეტიციის ინიცირების პროცედურის დაწყების შესახებ.“

ვ) 29 -ე პუნქტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„29. საკრებულოს აპარატი რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ პეტიციას და პეტიციის ხელმომწერი მხარდამჭერების მონაცემების სისწორის შემოწმების მიზნით არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, არათანმიმდევრობით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების კანონით დადგენილი რაოდენობის 20 პროცენტის ნამდვილობას ამომრჩეველთა ერთიან სიაში. პეტიციის ხელმომწერი მხარდამჭერების მონაცემების ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებულ მონაცემებთან შეუსაბამობის შემთხვევაში ხელმოწერა ბათილად ჩაითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხარვეზი აღმოჩნდება რეგისტრაციის მისამართში და ამომრჩეველთა ერთიანი სიით დასტურდება მხარდამჭერი ამომრჩევლის რეგისტრაცია ქედის მუნიციპალიტეტში სხვა მისამართზე. თუ გაბათილდა მისი არანაკლებ 10 პროცენტისა, იმავე წესით დამატებით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების იმავე რაოდენობას. მისი არანაკლებ 10 პროცენტის გაბათილების შემთხვევაში მხარდამჭერთა სიის გაბათილებული ნაწილი უბრუნდება პეტიციის ინიციატორს და ეძლევა 2 დღის ვადა ხარვეზების შესავსებად. პეტიციის ინიციატორთა მიერ წარმოდგენილ მხარდამჭერთა სიის შესწორებულ ნაწილს დანარჩენ სიასთან ერთად კვლავ ამოწმებს საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი ზემოაღნიშნული წესით. თუ იმავე წესით შემოწმებული მხარდამჭერთა ხელმოწერების დადგენილ რაოდენობაზე მეტი კვლავ გაბათილდა, მხარდამჭერთა სია მთლიანად ბათილდება და პეტიციის ინიციატორს უარი ეთქმება ინიცირებაზე.“

ზ) 30-ე პუნქტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„30. მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ:

- ა) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული სახელი და გვარი;
- ბ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული დაბადების თარიღი (წელი, თვე და რიცხვი) ან მითითებული თარიღის მიხედვით ამომრჩევლის ასაკი 18 წელზე ნაკლებია;
- გ) ხელმოწერის თარიღი მითითებული არ არის ან არ ემთხვევა მხარდამჭერთა სიის შედგენის ვადას;
- დ) ხელმომწერი არ არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული მხარდამჭერი;
- ე) არასრულად ან არასწორად არის მითითებული პირადი ნომერი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით).“

ზ) 31-ე პუნქტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

„31. პეტიციის ერთ გვერდზე შესრულებული ყველა ხელმოწერა ბათილად ითვლება თუ, გვერდის ზედა ნაწილში არ არის მითითებული ტექსტის მოკლე შინაარსში, ან/და გვერდის ქვედა

ნაწილში არ არის სრულად მითითებული ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი ან და არ არის შესრულებული ხელმოწერა.“

2. რეგლამენტს დაემატოს 117¹ მუხლი

„მუხლი 117¹ პეტიციის წარდგენა ელექტრონული ფორმით

1. ამ რეგლამენტის 117-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სუბიექტების მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის (შემდგომში - აპლიკაცია) მეშვეობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პეტიციის წარდგენის მიზნით მომხსენებელი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მომხსენებელთა რაოდენობა აღემატება ერთს, ერთ-ერთი მომხსენებელი, რეგისტრირდება აპლიკაციის მომხმარებლად, რისთვისაც მიუთითებს სახელს, გვარს, დაბადების თარიღს, პირად ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს და აპლიკაციაში განათავსებს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) დასკანერებულ ასლს. მომხსენებელს ელექტრონულ ფოსტაზე აპლიკაციის მიერ ავტომატურ რეჟიმში ეგზავნება კოდური სიტყვა/სიმბოლოები, რომლის დადასტურების შემდეგ მომხსენებელი კოდური სიტყვით/სიმბოლოებით ახდენს რეგისტრაციის დადასტურებას.

3. მომხსენებელი ვალდებულია ამ რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექსტი განათავსოს აპლიკაციაში, ქართული Sylfaen შრიფტით და აპლიკაციაში დოკუმენტების ატვირთვის გზით, თან დაურთოს ამ რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ - „თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აპლიკაციაში განთავსებული ტექსტი და თანდართული დოკუმენტები მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოჩნდება მისი ატვირთვის დღის მომდევნო სამუშაო დღის 24 საათამდე. აპლიკაციაში განთავსებული ტექსტისა და თანდართული დოკუმენტების მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე ატვირთვის დასტური, მომხსენებელს ეგზავნება მობილური ტელეფონის ნომერზე ან ელექტრონულ ფოსტაზე, ასეთის მითითების შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით აპლიკაციაში განთავსებული ტექსტს და თანდართულ დოკუმენტებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე არ ასახავს თუ:

ა) ტექსტი ეწინააღმდეგება ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს;

ბ) ტექსტის შინაარსი შეურაცხყოფას აყენებს ნებისმიერ პირს;

გ) ტექსტი ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით განსაზღვრულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აპლიკაციაში ატვირთულ პეტიციაზე ამომრჩევლების მიერ ხელმოწერის შესრულება ხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გარეშე.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, პეტიციაზე ხელმოწერის დასაფიქსირებლად, მხარდამჭერები აპლიკაციაში, ქართული Sylfaen შრიფტით უთითებენ საკუთარ სახელს, გვარს, პირად ნომერს, რეგისტრაციის მიხედვით საცხოვრებელი ადგილის მისამართს და მობილური ტელეფონის ნომერს. პეტიციაზე ხელმოწერის დასაფიქსირებლად, მხარდამჭერი ვალდებულია, აპლიკაციის შესაბამის ფანჯარაში მონიშვნის გაკეთების გზით დაადასტუროს, რომ გაეცნო პეტიციის შინაარსს და ეთანხმება მას. აპლიკაციაში მხარდამჭერის მონაცემების ხელმოწერთა სიაში დამატება ხდება მის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე აპლიკაციის მიერ ავტომატურ რეჟიმში გაგზავნილი კოდური სიტყვის/სიმბოლოების მეშვეობით ხელმოწერის დადასტურების შემდეგ და აპლიკაცია ავტომატურ რეჟიმში უთითებს ხელმოწერის განხორციელების თარიღს. ერთი მობილური ტელეფონის ნომერი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს არაუმეტეს 5 პირის რეგისტრაციის მიზნით.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მხარდამჭერის მიერ ხელმოწერის შესრულებისას იგი უფლებამოსილია დააფიქსიროს მისი პოზიცია მისი სახელისა და გვარის საჯაროობის თაობაზე. თუ მხარდამჭერი არ არის თანახმა, მისი სახელი და გვარი გახდეს საჯარო, აპლიკაცია უზრუნველყოფს მისი პერსონალური მონაცემების გამხელისაგან დაცვას. მხარდამჭერის პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მომხსენებლებისა და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირისათვის.

9. აპლიკაცია უზრუნველყოფს, რომ ტექნიკურად არ იყოს შესაძლებელი ორი ან რამდენიმე ხელმოწერის შესრულება საქართველოს მოქალაქის ერთი და იგივე პირადი ნომრით.

10. პეტიციის ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ აპლიკაცია ასაჯაროებს პეტიციაზე ხელმომწერი მხარდამჭერების მიმდინარე რაოდენობას, პეტიციაზე საჭირო ხელმოწერათა მინიმალურ რაოდენობას და მომხსენებლ(ებ)ის სახელ(ებ)სა და გვარ(ებ)ს.

11. პეტიციის ტექსტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან არაუმეტეს 30 დღის ვადაში, მხარდამჭერთა მიერ ამ რეგლამენტის 117-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი მინიმალური ოდენობის ხელმოწერების ელექტრონულად განხორციელების შემდეგ, აპლიკაციის „რეგისტრაციაზე გაგზავნის“ ფუნქციის მეშვეობით მომხსენებელი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე პეტიციის ტექსტს და თანდართულ დოკუმენტებს, მათ შორის პეტიციის ხელმომწერ მხარდამჭერთა სრულ სიას, აგზავნის მუნიციპალიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე. ამ შემთხვევაში აპლიკაცია ავტომატურ რეჟიმში აკეთებს აღნიშვნას პეტიციის წარდგენის თარიღის თაობაზე და საკრებულოს აპარატისგან ითხოვს პეტიციის მიღების დადასტურებას. საკრებულოს აპარატისგან დადასტურების მიღების შემდეგ აპლიკაცია ავტომატურ რეჟიმში ელექტრონულად ატყობინებს ამის შესახებ მომხსენებელს, თარიღისა და დროის მითითებით.

12. პეტიციის ტექსტის შესაბამისობაზე მოქმედ კანონმდებლობასთან და 117-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებთან, ასევე, პეტიციის საკრებულოში გადაგზავნამდე, მხარდამჭერების მიერ მათი მონაცემების სრულად შეყვანით ელექტრონულად განხორციელებული ხელმოწერების რაოდენობის 117-მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მინიმალურ რაოდენობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომხსენებელი.

13. პეტიციის ელექტრონულ ფოსტაზე მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საკრებულოს აპარატი იწყებს ამ რეგლამენტის 117-ე მუხლის 29-ე პუნქტით დადგენილი წესით პეტიციის რეგისტრაციას.

14. ამ რეგლამენტის 117-ე მუხლის 29-ე პუნქტით დადგენილი წესით პეტიციის რეგისტრაციის შემდეგ საკრებულოს აპარატი პეტიციის რეგისტრაციის მოწმობას ან პეტიციის რეგისტრაციაზე უარს უგზავნის მომხსენებლებს და აღნიშნულ განათავსებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილება - დამატების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესრულება, ასევე 2015 წლის 22 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს ორგანულ კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების შესრულება, რომლითაც ხაზგასმულია პეტიციის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ინიცირებული იქნება და რაც აწუხებს მოსახლეობას, ამასთანავე, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის 24-ე პუნქტით, „მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი“. ინტერნეტისა და სოციალური ქსელების განვითარების კვალობაზე ეს ნორმა მოსახლეობის მიერ საკუთარი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით მუნიციპალიტეტისადმი მიმართვის ერთ-ერთ ყველაზე მოსახერხებელ და ეფექტურ საშუალებად შეიძლება იქცეს.

ა.ბ) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზანია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში მოქალაქეების მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოსადმი პეტიციის წესით მიმართვის პროცედურების გამარტივება და პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესის განსაზღვრა.

ა.გ) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დადგენილების მიღება - რომლითაც განისაზღვრება პეტიციის ფორმით მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საკითხების ინიცირება/წარდგენა, პეტიციის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტები, კერძოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1% პროცენტი, პეტიციის სავალდებულო რეკვიზიტები, მასზე ხელმოწერი ამომრჩეველებისა და მომხსენებლების აუცილებელ მონაცემები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში პეტიციის რეგისტრაციისა და პეტიციის რეგისტრაციის მოწმობის გაცემა, ან რეგისტრაციაზე უარის თქმის პროცედურა, საკრებულოს აპარატის მიერ პეტიციაზე თანდართული ამომრჩეველთა სიის შემოწმების წესები.

117¹ მუხლით დადგენილია ელექტრონული ფორმით პეტიციის წარდგენის წესი, კერძოდ, პეტიციის წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტებს პეტიციის წარდგენა შეუძლიათ ელექტრონული ფორმით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის (შემდგომში - აპლიკაცია) მეშვეობით. ამ ფორმით პეტიციის წარდგენის მიზნით მომხსენებელი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მომხსენებელთა რაოდენობა აღემატება ერთს, ერთ-ერთი მომხსენებელი, რეგისტრირდება აპლიკაციის მომხმარებლად, მიუთითებს საკუთარ მონაცემებს და აპლიკაციის მეშვეობით ატვირთავს საკუთარ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) დასკანერებულ ასლს. მომხსენებელს ელექტრონულ ფოსტაზე აპლიკაციის მიერ ავტომატურ რეჟიმში ეგზავნება კოდური სიტყვა/სიმბოლოები, რომლის დადასტურების შემდეგ მომხსენებელი კოდური სიტყვით/სიმბოლოებით ახდენს რეგისტრაციის დადასტურებას. შემდეგ

მომხსენებელი პეტიციის ტექსტს განათავსებს აპლიკაციაში და თან დაურთავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულ, შესაბამის დოკუმენტებს.

მომხსენებლის მიერ აპლიკაციაში განთავსებული ტექსტი და თანდართული დოკუმენტები მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოჩნდება მისი ატვირთვის დღის მომდევნო სამუშაო დღის 24 საათამდე. გამოქვეყნებამდე აღნიშნული დრო გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ტექსტისა და დოკუმენტაციის გაცნობისათვის, რათა ტექსტში არ იყოს უცენზურო გამონათქვამები, ის არ ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, შეურაცხყოფას არ აყენებდეს ნებისმიერ პირს, ან არ ზღუდავდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით განსაზღვრულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ასეთ შემთხვევებში მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის ტექსტის არგამოქვეყნების შესახებ.

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე პეტიციისა და თანდართული დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ ამომრჩევლებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ პეტიციას, რაც პეტიციაზე მათ მიერ ხელმოწერის განხორციელების ტოლფასია. საამისოდ მათ არ სჭირდებათ მიერ მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის მომხმარებლებად რეგისტრაცია. პეტიციაზე ხელმოწერის დასაფიქსირებლად, ამომრჩევლები აპლიკაციაში, ქართული Sylfaen შრიფტით უთითებენ საკუთარ სახელს, გვარს, პირად ნომერს, რეგისტრაციის მიხედვით საცხოვრებელი ადგილის მისამართს და მობილური ტელეფონის ნომერს. პეტიციაზე ხელმოწერის დასაფიქსირებლად, ამომრჩეველი ვალდებულია, აპლიკაციის შესაბამის ფანჯარაში მონიშვნის გაკეთების გზით დაადასტუროს, რომ გაეცნო პეტიციის შინაარსს და ეთანხმება მას. აპლიკაციაში ამომრჩევლის მონაცემების ხელმომწერთა სიაში დამატება ხდება მის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე აპლიკაციის მიერ ავტომატურ რეჟიმში გაგზავნილი კოდური სიტყვის/სიმბოლოების მეშვეობით ხელმოწერის დადასტურების შემდეგ და აპლიკაცია ავტომატურ რეჟიმში უთითებს ხელმოწერის განხორციელების თარიღს. დაწესებულია შეზღუდვა, რომ ერთი მობილური ტელეფონის ნომერი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს არაუმეტეს 5 პირის რეგისტრაციის მიზნით, ასევე, აპლიკაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ ტექნიკურად არ იყოს შესაძლებელი ორი ან რამდენიმე ხელმოწერის შესრულება საქართველოს მოქალაქის ერთი და იგივე პირადი ნომრით, რათა შემცირებულ იქნას პეტიციაზე არანამდვილი ხელმოწერების განხორციელების რისკები.

აპლიკაცია უნდა იძლეოდეს საშუალებას, ამომრჩევლის მიერ პეტიციაზე ხელმოწერის შესრულებისას იგი უფლებამოსილია დააფიქსიროს მისი პოზიცია მისი სახელისა და გვარის საჯაროობის თაობაზე. თუ ამომრჩეველი არ არის თანახმა, მისი სახელი და გვარი გახდეს საჯარო, აპლიკაციამ უნდა უზრუნველყოს მისი პერსონალური მონაცემების გამხელისაგან დაცვა. ამომრჩევლის პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მომხსენებლებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირისათვის.

პეტიციის ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, პეტიციის ტექსტთან და თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, მუდმივად საჯაროდ უნდა ჩანდეს პეტიციაზე ხელმომწერი ამომრჩევლების მიმდინარე რაოდენობა, პეტიციაზე საჭირო ხელმოწერათა მინიმალური რაოდენობა და მომხსენებლ(ებ)ის სახელ(ები) და გვარ(ები).

ელექტრონული პეტიციაზე მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების ზღვრულ ვადად რეგლამენტი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან არაუმეტეს 30 დღეს. ამ ვადაში, ამომრჩეველთა მიერ რეგლამენტით დადგენილი მინიმალური ოდენობის ხელმოწერების ელექტრონულად განხორციელების შემდეგ, აპლიკაციის „რეგისტრაციაზე გაგზავნის“ ფუნქციის მეშვეობით მომხსენებელს შეუძლია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე გააგზავნოს პეტიციის ტექსტი და თანდართულ დოკუმენტები, მათ შორის პეტიციის ხელმომწერ ამომრჩეველთა სრული სია. აპლიკაცია პეტიციას, თანდართული დოკუმენტებით, გააგზავნის მუნიციპალიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე, და საკრებულოს აპარატისგან მოითხოვს პეტიციის მიღების დადასტურებას. საკრებულოს აპარატისგან მიღების დადასტურების შემდეგ აპლიკაცია ავტომატურ რეჟიმში ელექტრონულად შეატყობინებს ამის შესახებ მომხსენებელს, თარიღისა და დროის მითითებით.

პეტიციის ტექსტის შესაბამისობაზე მოქმედ კანონდებლობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან, ასევე, პეტიციის საკრებულოში გადაგზავნამდე, ამომრჩევლების მიერ მათი მონაცემების სრულად შეყვანით ელექტრონულად განხორციელებული ხელმოწერების რაოდენობის

რეგლამენტით დადგენილ მინიმალურ რაოდენობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომხსენებელი.

პეტიციის ელექტრონულ ფოსტაზე მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საკრებულოს აპარატი იწყებს მე-4 მუხლით დადგენილი წესით პეტიციის რეგისტრაციას, რის შემდეგაც საკრებულოს აპარატი პეტიციის რეგისტრაციის მოწმობას ან პეტიციის რეგისტრაციაზე უარს ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნის მომხსენებლებს და აღნიშნულ განათავსებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე.

ბ) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის მიღების პროცესში გათვალისწინებულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციის „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის“ კონსულტაციები.

დ.ა) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავებაში არ ყოფილა გაწეული რეკომენდაციები.

დ.ბ) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალამე

ზ) ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი - გურამ ანანიძე.